



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული  
სამსახური

საქართველოს 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო  
აღწერის პროგრამა

## სარჩევი

შესავალი.....	3
1. სამართლებრივი საფუძვლები.....	3
2. მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები.....	5
3. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა .....	6
4. 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა (შემდგომში - აღწერა).....	8
4.1. ძირითადი მიზნები და ამოცანები .....	8
4.2. აღწერის ჩატარების თარიღი.....	8
4.3. მეთოდოლოგია .....	9
4.4. მონაცემთა შეგროვების მეთოდი .....	10
4.5. საველე პერსონალის კატეგორიები და მათი სამოქმედო არეალი.....	11
5. მოსამზადებელი სამუშაოები - შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა .....	12
5.1. ძირითადი მიზნები და ამოცანები .....	12
5.2. თარიღი .....	12
5.3. საველე პერსონალის კატეგორიები და მათი სამოქმედო არეალი.....	13
6. ბიუჯეტი.....	14
7. 2021-2026 წლების ძირითადი სამოქმედო გეგმა .....	15

## შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 2015 წლის 10 ივნისს მიიღო რეზოლუცია<sup>1</sup>, რომლის თანახმადაც, წევრმა სახელმწიფოებმა „მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდში“ უნდა ჩაატარონ სულ მცირე ერთი აღწერა საერთაშორისო და რეგიონალური რეკომენდაციების გათვალისწინებით. მოსახლეობის და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდად განისაზღვრა 2015-2024 წლების პერიოდი.

აღწერა იყოფა რამდენიმე ეტაპად და ის მოიცავს მონაცემების შეგროვების, ინდივიდუალური ინფორმაციის დამუშავებისა და აგრეგირებული მონაცემების გავრცელების პროცესს. აღწერის დაგეგმვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსამზადებელ სამუშაოებს, ხარჯების ეფექტიანობას, მოცვას და მონაცემების დროულად გავრცელებას.

ქვეყნის განვითარებისათვის, გეგმებისა და პროგრამების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, აღწერის შედეგები მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღებთათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და სხვა შესაბამისი უწყებებისათვის.

მოსახლეობის აღწერა, ასევე, წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს მდგრადი განვითარების 2030 წლის მიზნების განხორციელების შესაფასებლად, განსაკუთრებით ეს ეხება მოსახლეობის შემადგენლობას, სქესს, ასაკს, ეთნიკურ წარმომავლობას, მიგრაციას, დასაქმებას, განათლებას, გეოგრაფიულ მდებარეობასა და სხვა მახასიათებლებს.

საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, ითვალისწინებს საერთაშორისო რეკომენდაციებს და გამოთქვამს მზადყოფნას ჩაერთოს „მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდში“.

### 1. სამართლებრივი საფუძვლები

ძირითად ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს ქვეყანაში აღწერის მომზადებას, მონაცემთა შეგროვებას, აგრეთვე, მისი მასალების დამუშავებასთან, განზოგადებასა და შედეგების გამოქვეყნება-გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, წარმოადგენს საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N375 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება, ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ (შემდგომში - კანონი) განსაზღვრავს აღწერის თარიღის დადგენის, მისი მომზადების, ჩატარების, მოპოვებული მასალების დამუშავების, შედეგების გამოქვეყნებისა და გავრცელების წესს, ადგენს აღწერის განხორციელების ძირითად დებულებებსა და მეთოდებს, აღწერაში მონაწილეობას და აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის გარანტიებს.

<sup>1</sup> Resolution adopted by the Economic and Social Council on 10 June 2015.

კანონი ადგენს აღწერაში მონაწილეობის ვალდებულებას. აღწერაში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა იურიდიული პირისა და ფიზიკური პირისთვის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირისთვის. აღწერას არ ექვემდებარებიან უცხო ქვეყნის მოქალაქე და მისი შინამეურნეობის წევრი, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, აგრეთვე უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე და მისი შინამეურნეობის წევრი.

რესპონდენტი ვალდებულია აღწერის ჩატარებისას გამოკითხვის პროცესში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მიაწოდოს მის ხელთ არსებული უტყუარი მონაცემები (კანონის მე-29 მუხლი).

კანონის 34-ე მუხლი ადგენს მონაცემთა კონფიდენციალურობას. რესპონდენტის შესახებ მონაცემები ინახება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღმწერ პერსონალს ეკრძალება აცნობოს ვინმეს, რესპონდენტის შესახებ შევსებული აღწერის კითხვარის შინაარსი. მონაცემების გამოყენების წესის დარღვევისთვის აღმწერ პერსონალს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღწერის დროს შეგროვებული მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.

## 2. მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის (შემდგომში - აღწერა) ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (შემდგომში - საქსტატი). საქსტატი, საჯარო უწყებების, სამეცნიერო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით ამუშავებს, განიხილავს და ადგენს აღწერის ჩატარების მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებს, განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის ყველა დონეზე აღწერასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩამონათვალს, მათი შესრულების ვადებსა და შემსრულებლებს.

აღწერის პერიოდში საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოები ხელს უწყობენ მათ სისტემაში მყოფი მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობას, საქსტატის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

აღწერასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელი არიან აღწერის ორგანიზების, მომზადებისა და ჩატარების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელებისთვის.

### 3. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

საქართველოში მოსახლეობის უკანასკნელი საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში. მოსახლეობის რიცხოვნობის გამოთვლის მომენტად (მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი) განისაზღვრა 4-5 ნოემბრის შუალამის 12 საათი.

იმის გათვალისწინებით, რომ ნოემბერში ზოგიერთ მთიან მუნიციპალიტეტში ამინდის შესაძლო გაუარესების გამო გართულდებოდა საველე სამუშაოების ჩატარება, მესტიის, ყაზბეგის და ნაწილობრივ ახმეტისა (ომალოს თემი) და დუშეთის (გუდამაყრის, მადაროსკარის, უკანაფშავის, ქვეშეთის, შატილისა და ხევსურეთის თემები) მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 2014 წლის სექტემბერში.

აღწერამ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორიის 82 პროცენტი (57 178.7 კვ. კმ). აღწერა ვერ ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე (12 524.1 კვ. კმ.), კერძოდ აფხაზეთის ა.რ.-ში და ცხინვალის რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ პირველად 2014 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან ერთად ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერაც.

სასოფლო-სამეურნეო აღწერის კითხვარის მეშვეობით მიღებულ იქნა მონაცემები შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მუნიციპალიტეტების, ტერიტორიული ერთეულების და სოფლების დონეზე.

საქსტატში კარტოგრაფიული მასალის არარსებობამ, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის ძველი ტექნოლოგიით შედგენილი (ქალაქის ვერსიები) რუკების არამდგრადობამ და უზუსტობამ, დღის წესრიგში დააყენა ახალი ტექნოლოგიის (გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემები) დანერგვით მომხდარიყო ზუსტი ციფრული კარტოგრაფიული მასალის მომზადება და მის საფუძველზე განხორციელებულიყო მონაცემთა შეგროვება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ აღწერის ღონისძიებებში ზემოთ ხსენებული სისტემის დანერგვა რეკომენდებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, რადგან ზუსტი კარტოგრაფიული მასალა ხელს უწყობს და აადვილებს აღწერის პერიოდში მონაცემთა შეგროვებას, დახმარებას უწყვეს მონაცემთა შეგროვების პროცესის მონიტორინგს, აადვილებს აღწერის შედეგების დემონსტრირებას, ანალიზს და გავრცელებას.

გამომდინარე იქედან, რომ ქვეყანაში არ არსებობდა გეო-მონაცემთა ბაზაზე მიბმული ინფორმაცია თითოეულ შენობაში და საცხოვრისში მოსახლეობის ფაქტიური რიცხოვნობის შესახებ, 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის მაისის პერიოდში, განხორციელდა პირველი ეტაპის საველე სამუშაოები. კერძოდ, თითოეულ დასახლებაში შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა ციფრული კარტოგრაფიული მასალის გამოყენებით. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა, წინასწარ დადგენილიყო თითოეულ შენობაში მოსახლეობის რიცხოვნობა. პირველი ეტაპის საველე სამუშაოებზე დასაქმებული იყო 3 793 კაცი.

მეორე ეტაპის სააღწერო პერსონალის რაოდენობამ (2014 წლის 5-19 ნოემბრის პერიოდში) შეადგინა 12 230 კაცი. პერსონალის ყველაზე მეტი რაოდენობა მოდიოდა ქ. თბილისზე (2 857 კაცი, მთელი პერსონალის 23.4 პროცენტი), ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე (304 კაცი – 2.5 პროცენტი).

საველე პერსონალის 73.4 პროცენტს შეადგენდნენ ქალები, ხოლო 26.6 პროცენტს მამაკაცები. უნდა აღინიშნოს, რომ საველე პერსონალის 18.8 პროცენტს შეადგენდნენ სტუდენტები, 5.2 პროცენტს – პენსიონერები, ამასთან, 4.7 პროცენტს წარმოადგენდა სოციალური პაკეტის მიმღები მოსახლეობა.

ცხრილი 1: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საველე პერსონალის რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	საველე პერსონალის რაოდენობა
საქართველო, სულ	12 230
ქ. თბილისი	2 857
აჭარის არ	1 137
გურია	423
იმერეთი	1 735
კახეთი	1 135
მცხეთა-მთიანეთი	430
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	304
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 240
სამცხე-ჯავახეთი	710
ქვემო ქართლი	1 390
შიდა ქართლი	869

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მთლიანმა ხარჯებმა 2006-2016 წლებში, დონორების დახმარების ჩათვლით, შეადგინა 14.7 მლნ. ლარი (8.2 მლნ. აშშ დოლარი<sup>2</sup>). აღწერის ჩატარებაზე გაწეულმა მთლიანმა ხარჯებმა ერთ სულზე გაანგარიშებით - 3.9 ლარი (2.2 აშშ დოლარი) შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების წილმა მთლიანი ხარჯების 81 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი 2: ბიუჯეტის სტრუქტურა (%) დონორების მიხედვით 2006-2016 წლებში

	%
სახელმწიფო ბიუჯეტი	81.0
გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) და შვედეთის განვითარების სააგენტო (SIDA)	16.2
მსოფლიო ბანკი (World Bank)	2.8

<sup>2</sup> 2006-2016 წლების საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენდა 1.80 ლარს

## 4. 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა (შემდგომში - აღწერა)

### 4.1. ძირითადი მიზნები და ამოცანები

აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულში, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, მოსახლეობის და სასოფლო მეურნეობების შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, რაც აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აქტივობა და პროდუქციის წარმოება ძირითადად ხორციელდება შინამეურნეობების სექტორში, მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო აღწერაც.

აღწერის ფარგლებში შეგროვდება მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სხვადასხვა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ასევე, აღწერა მოიცავს როგორც საცხოვრისებში და ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მცხოვრებ მუდმივ მოსახლეობას, ისე უსახლკარო პირებს და მომთაბარე ჯგუფებს, რომლებიც აღწერის კრიტიკული მომენტისთვის მუდმივად ცხოვრობენ ქვეყნის ტერიტორიაზე. ამასთან, აღწერის ფარგლებში შეგროვდება ინფორმაცია, შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ, კერძოდ, შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

შესაბამისად, აღწერის შედეგების საფუძველზე ხელმისაწვდომი იქნება ზუსტი და განახლებული მონაცემები როგორც მოსახლეობის რაოდენობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სხვადასხვა დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით, ასევე შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ, თვითმმართველი ერთეულებისა და დასახლებების დონეზე.

### 4.2. აღწერის ჩატარების თარიღი

მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერების ათწლიანი პერიოდულობით ჩატარება აღწერის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამასთან ერთად, გაეროს რეკომენდაციებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ქვეყნებმა მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერები უნდა ჩაატარონ 10 წელიწადში ერთხელ მაინც, შესაბამისად, 2024 წელს მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერების ჩატარებით, დაცული იქნება აღწერების განხორციელების ათწლიანი ციკლი.

აღწერის საველე სამუშაოები უნდა განხორციელდეს იმ დროს, როდესაც ადამიანი ყველაზე ნაკლებად მობილურია, რადგან უფრო ადვილი იყოს მისი გამოკითხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ე.ი. იმ დასახლებაში, სახლში, ბინაში, რომელშიც გამოსაკითხი პირი ატარებს თავისი დროის უმეტეს ნაწილს. ეს ადგილი შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს მისი რეგისტრაციის ადგილს.



ამასთან, ქვეყნების მიხედვით სავსე სამუშაოების ხანგრძლივობა განსხვავებულია და დამოკიდებულია აღწერის მეთოდსა და მეთოდოლოგიაზე, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და მის გეოგრაფიულ განაწილებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მომდევნო, 2024 წლის აღწერის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ხოლო მოსახლეობის გამოთვლის მომენტად (მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი) – 13-14 ნოემბრის შუაღამის 12 საათი.

აღნიშნული პერიოდის შერჩევა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- მოსახლეობა ნაკლებად მობილურია;
- მიმდინარეობს სასწავლო პროცესი - მოსწავლეები და სტუდენტები იმყოფებიან მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე;
- აღწერა ჩატარდება ერთდროულად ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).

იმის გამო, რომ მონაცემთა შეგროვება განხორციელდება კომბინირებული მეთოდით, რეკომენდებულია მონაცემთა შეგროვების ვადები მეთოდების მიხედვით განისაზღვროს ქვემოთ მოცემული თარიღების მიხედვით:

მეთოდი	კომპიუტერის დახმარებით ვებ-ინტერვიუს მეთოდი (CAWI)	კომპიუტერის დახმარებით პერსონალური ინტერვიუს მეთოდი (CAPI)
თარიღი და ხანგრძლივობა	14 – 23 ნოემბერი (10 დღე)	29 ნოემბერი - 19 დეკემბერი (21 დღე)

იმის გათვალისწინებით, რომ ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში ზოგიერთ მთიან, ძნელად მისადგომ მუნიციპალიტეტში ან/და დასახლებაში ამინდის შესაძლო გაუარესების გამო გართულდება სავსე სამუშაოების ჩატარება, მესტიის, ყაზბეგის, ლენტეხის, ნაწილობრივ ახმეტისა (ომალის ადმინისტრაციული ერთეული) და დუშეთის (გუდამაყრის, მადაროსკარის, უკანაფშავის, ქვეშეთის, შატილისა და ხევსურეთის ადმინისტრაციული ერთეულები და ფსანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები) მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის აღწერა ჩატარდება 2024 წლის სექტემბერში.

### 4.3. მეთოდოლოგია

2024 წლის აღწერის სათანადო მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ დონეზე განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია კითხვების ჩამონათვალის განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ კითხვების რაოდენობა და შინაარსი შეზღუდულია აღწერის სამუშაოთა მოცულობიდან, მათი შესრულების ვადებიდან, ადამიანური რესურსებიდან და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

საქსტატი აღწერის დაწყებამდე შეიმუშავებს აღწერის კითხვარებს და შესაბამის მეთოდოლოგიას, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის<sup>3</sup> და გაეროს სურსათის და სოფლის

<sup>3</sup> [https://www.unecce.org/fileadmin/DAM/stats/publications/2015/ECECES41\\_EN.pdf](https://www.unecce.org/fileadmin/DAM/stats/publications/2015/ECECES41_EN.pdf); [https://unstats.un.org/unsd/demographic-social/Standards-and-Methods/files/Principles\\_and\\_Recommendations/Population-and-Housing-Censuses/Series\\_M67rev3-E.pdf](https://unstats.un.org/unsd/demographic-social/Standards-and-Methods/files/Principles_and_Recommendations/Population-and-Housing-Censuses/Series_M67rev3-E.pdf)

მეურნეობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე<sup>4</sup>. გარდა ამისა, გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ქვეყნების და საქართველოში ჩატარებული წინა აღწერების დროს მიღებული გამოცდილება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის აღწერის კითხვარების მეშვეობით მიღებულ იქნება ისეთი ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულების და დასახლებების დონეზე, როგორცაა:

- დემოგრაფიული და სოციალური მახასიათებლები;
- განათლების დონე;
- ეკონომიკური მახასიათებლები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- მიგრაცია;
- შინამეურნეობები და საბინაო პირობები;
- შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურა;
- პირუტყვისა და ფრინველის სულადობა;

#### 4.4. მონაცემთა შეგროვების მეთოდი

2024 წლის აღწერის დროს მონაცემთა შეგროვება დაგეგმილია კომბინირებული მეთოდით. კერძოდ:

- კომპიუტერის დახმარებით ვებ-ინტერვიუს მეთოდი (CAWI)
- კომპიუტერის დახმარებით პერსონალური ინტერვიუს მეთოდი (CAPI)

#### ❖ კომპიუტერის დახმარებით ვებ-ინტერვიუს მეთოდი (CAWI)

კომპიუტერის დახმარებით ვებ-ინტერვიუ (CAWI) წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების მეთოდს, როდესაც რესპონდენტები დამოუკიდებლად აღმწერების გარეშე, კომპიუტერის მეშვეობით, სტანდარტული ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენებით, ელექტრონულად ავსებენ კითხვარებს. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ხელსაყრელია იმ კატეგორიის რესპონდენტებისათვის, რომელთაც არ სურთ ინტერვიუერის სახლში სტუმრობა ან/და არ აქვთ საკმარისი დრო ინტერვიუსთვის.

ამასთან, კომპიუტერის დახმარებით ვებ-ინტერვიუს მეთოდი გაამარტივებს მონაცემთა შეგროვებას საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და საკონსულო დაწესებულებებში, როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებული მოსამსახურე და მისი ოჯახის წევრებისა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის შესახებ.

კომპიუტერის დახმარებით ვებ-ინტერვიუს მეთოდს აქვს რამდენიმე უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით:

- უზრუნველყოფს მეტი კონფიდენციალურობის განცდას რესპონდენტებში;
- საშუალებას აძლევს რესპონდენტებს უპასუხონ სენსიტიურ კითხვებს აღმწერის თანდასწრების გარეშე;

<sup>4</sup> <https://www.geostat.ge/media/19735/World-Programme-for-the-Census-of-Agriculture-2020.pdf>

- რესპონდენტები არ არიან დროში შეზღუდულები და კითხვარებს ამომწურავად ავსებენ მათთვის მისაღებ დროს;
- ამცირებს აღმწერის სამუშაო დატვირთვას.

ამ მეთოდით მონაცემთა შეგროვებისას, მნიშვნელოვანია რესპოდენტს ჰქონდეს ინტერნეტზე წვდომა და ფლობდეს კომპიუტერის გამოყენების უნარებს.

**❖ კომპიუტერის დახმარებით პერსონალური ინტერვიუს მეთოდი (CAPI)**

კომპიუტერის დახმარებით პერსონალური ინტერვიუს მეთოდით, მონაცემები გროვდება პირისპირ ინტერვიუს დროს, პლანშეტური კომპიუტერის მეშვეობით. ინტერვიუს დამთავრების შემდეგ მონაცემები პირდაპირ გადაეცემა ცენტრალურ კომპიუტერულ ქსელს ინტერნეტით ან მონაცემთა გადაცემის სხვა არხებით.

აღნიშნული მეთოდი აუმჯობესებს მონაცემთა ხარისხს, ამცირებს მონაცემების დამუშავების დროს და ზრდის სავსელ პერსონალის მართვის ეფექტიანობას. დროულად მიღებული ინფორმაცია, ინტერვიუს ხანგრძლივობისა და შევსებული კითხვარების ხარისხის შესახებ, იძლევა შესაძლებლობას, განხორციელდეს მონიტორინგი და აღმოიფხვრას შესაძლო ხარვეზები ოპერატიულად, სავსელ სამუშაოების პარალელურად.

**4.5. სავსელ პერსონალის კატეგორიები და მათი სამოქმედო არეალი**

2024 წლის აღწერის განსახორციელებლად საჭირო იქნება დაახლოებით 11 500 კაცი (სავსელ პერსონალი). მათი კატეგორიები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ცხრილი 3: სავსელ პერსონალის კატეგორიები და მათი ფუნქცია-მოვალეობები

სავსელ პერსონალის კატეგორიები	სამოქმედო ტერიტორია
რეგიონული ზედამხედველი	არსებული რეგიონული დაყოფა: 9 რეგიონი; აჭარის ა.რ. და ქ. თბილისი
მუნიციპალური ზედამხედველი	თვითმმართველი ერთეულები: 59 მუნიციპალიტეტი; 4 თვითმმართველი ქალაქი და ქ. თბილისის შიდა რაიონები
მუნიციპალური ზედამხედველის თანაშემწე	თვითმმართველი ერთეულები: 10 მუნიციპალიტეტი; 4 თვითმმართველი ქალაქი და ქ. თბილისის რაიონები
სექტორის ზედამხედველი	საზედამხედველო სექტორი: თვითმმართველი ერთეულები და ქ. თბილისის რაიონები დაყოფილია სექტორებად
ლოკალური ზედამხედველი	საზედამხედველო უბანი: საზედამხედველო სექტორები დაყოფილია საზედამხედველო უბნებად
აღმწერი	სააღწერო უბანი: საზედამხედველო უბნები დაყოფილია სააღწერო უბნებად

აღსანიშნავია, რომ აღმწერების სამუშაო დატვირთვის ნორმა განსახვავებულია რეგიონების მიხედვით და დამოკიდებულია ტერიტორიის რელიეფზე, გეოგრაფიულ მდებარეობასა და მოსახლეობის განფენილობაზე.

## 5. მოსამზადებელი სამუშაოები - შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა

### 5.1. ძირითადი მიზნები და ამოცანები

2023 წელს ჩატარდა პირველი ეტაპის სავსე სამუშაოები, რომლის მიზანი იყო საქართველოს 57 თვითმმართველ ერთეულში შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიებისა და ციფრული კარტოგრაფიის (სქემატური რუკების) შედგენა-განახლება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა თითოეულ შენობაში მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენას, რომლის გარეშეც შეუძლებელია განხორციელდეს ქვეყნის სააღწერო უზენადაც დაყოფა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის სავსე სამუშაოები არ განხორციელდა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, ასევე ისეთ მუნიციპალიტეტებში (16 მუნიციპალიტეტი), რომლებშიც მოსახლეობის მობილობის მაჩვენებელი არის ძალიან დაბალი და არ მიმდინარეობს მუდმივ საცხოვრებლად გამოყენებადი საცხოვრისების აქტიური განაშენიანების პროცესი.

ცხრილი 4: მუნიციპალიტეტები, რომლებშიც არ ჩატარებულა პირველი ეტაპის სავსე სამუშაოების განხორციელება

რეგიონი	მუნიციპალიტეტი
აჭარის ა.რ.	ქედა; შუახევი; ხულო
გურია	ჩოხატაური
მცხეთა-მთიანეთი	თიანეთი; ყაზბეგი
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ამბროლაური; ლენტეხი; ონი; ცაგერი
სამეგრელო და ზემო სვანეთი	მესტია
სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი; ასპინძა; ნინოწმინდა
ქვემო ქართლი	დმანისი; წალკა

პირველი ეტაპის სავსე სამუშაოების დროს განხორციელდა როგორც ციფრული რუკების, ისე სამისამართო ნაწილის განახლება (გულისხმობს სქემატურ გეგმაზე შენობების დამატებას და გაუქმებას) და შინამეურნეობებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება.

2023 წლის სავსე სამუშაოები განხორციელდა კომპიუტერის დახმარებით, პერსონალური ინტერვიუს მეთოდით (CAPI).

### 5.2. თარიღი

2023 წლის სავსე სამუშაოების ხანგრძლივობა თითოეული რეგიონისათვის განისაზღვრა 15 დღით, ხოლო ქ. თბილისში, სავსე სამუშაოების მაშტაბიდან გამომდინარე - 2023 წლის მეოთხე კვარტლიდან 2024 წლის პირველი კვარტლის პერიოდში, ინდივიდუალურად რაიონების მიხედვით. სავსე სამუშაოები დაიწყო 2023 წლის მარტში და დასრულდება 2024 წლის პირველ კვარტალში.

5.3.საველე პერსონალის კატეგორიები და მათი სამოქმედო არეალი

პირველი ეტაპის განსახორციელებლად საველე პერსონალის რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 3 200 კაცი. საცხოვრისების და მათში მცხოვრები შინამეურნეობების სიების შესადგენად საველე პერსონალის კატეგორიები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ცხრილი 5: საველე პერსონალის კატეგორიები და მათი ფუნქცია-მოვალეობები

საველე პერსონალის კატეგორიები	სამოქმედო ტერიტორია
რეგიონული ზედამხედველი	არსებული რეგიონული დაყოფა: ქ. თბილისი, აჭარის ა.რ., გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი
მუნიციპალური ზედამხედველი	თვითმმართველი ერთეულები: 43 მუნიციპალიტეტი, 4 თვითმმართველი ქალაქი (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი) და ქ. თბილისის რაიონები.
მუნიციპალური ზედამხედველის თანაშემწე	თვითმმართველი ერთეულები: 10 მუნიციპალიტეტი, 4 თვითმმართველი ქალაქი (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი) და ქ. თბილისის რაიონები
ლოკალური ზედამხედველი	საზედამხედველო უბანი: თვითმმართველი ერთეულები დაყოფილია საზედამხედველო უბნებად.
რეგისტრატორი	სარეგისტრაციო უბანი: საზედამხედველო უბნები დაყოფილია სარეგისტრაციო უბნებად.

## 6. ბიუჯეტი

2024 წლის აღწერის სრულფასოვნად და ხარისხიანად ჩასატარებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს საჭირო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დროულად გამოინახოს საჭირო ფინანსური რესურსები, რათა შესაძლებელი გახდეს აღწერის თითოეული ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად შესრულება.

წინასწარი გათვლებით აღწერის მთლიანი ბიუჯეტი 2021-2026 წლებში შეადგენს 29.2 მილიონ ლარს (10.8 მლნ. აშშ დოლარი<sup>5</sup>). აქედან გამომდინარე, აღწერის ჩატარებისთვის გასაწევი მთლიანი ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 7.8 ლარს (2.9 აშშ დოლარი).

2021-2023 წლებში 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია 9 455 ათასი ლარი (2021 წელს 300 ათასი, 2022 წელს - 1 340 ათასი, 2023 წელს - 7 815 ათასი ლარი).

ცხრილი 6: 2024 წლის აღწერის დანახარჯები 2021-2026 წლებში

	2021	2022	2023	2024	2025	2026
დანახარჯი, სულ (ათასი ლარი)	300	1 340	7 815	8 003	11 000	746
შრომის ანაზღაურების წილი (%)	97.8%	33.4%	35.2%	97.4%	96.5%	50.4%

<sup>5</sup> გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენს 2.70 ლარს.

## 7. 2021-2026 წლების ძირითადი სამოქმედო გეგმა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის აღწერასთან დაკავშირებული სამუშაოების განაწილება და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, 2021-2026 წლებში:

ღონისძიების დასახელება	შესრულების ვადა
აღწერების ჩატარების მეთოდის განსაზღვრა	2021 წლის I კვარტალი - 2022 წლის II კვარტალი
კითხვარების და მეთოდოლოგიის მომზადება	2021 წლის III კვარტალი - 2024 წლის III კვარტალი
გეო-მონაცემთა ბაზების განახლება (ციფრული კარტოგრაფია)	2021 წლის I კვარტალი - 2022 წლის IV კვარტალი
პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის	2021 წლის III კვარტალი - 2022 წლის IV კვარტალი
ქვეყნის დაყოფა სარეგისტრაციო უბნებად	2022 წლის I კვარტალი - 2022 წლის IV კვარტალი
სარეკლამო კამპანია	2023 წლის I კვარტალი - 2024 წლის IV კვარტალი
პირველი ეტაპის სავსე სამუშაოების განხორციელება (მონაცემების შეგროვება)	2023 წლის I კვარტალი - 2023 წლის IV კვარტალი
პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება მეორე ეტაპის სამუშაოებისთვის	2022 წლის I კვარტალი - 2024 წლის IV კვარტალი
ქვეყნის დაყოფა სააღწერო უბნებად	2024 წლის II კვარტალი
სავსე პერსონალის ტრენინგი	2024 წლის IV კვარტალი
მონაცემების შეგროვება მაღალმთიან, ძნელად მისადგომ მუნიციპალიტეტებში (დასახლებებში)	2024 წლის სექტემბერი
მონაცემების შეგროვება	2024 წლის 14 ნოემბერი - 19 დეკემბერი
მონაცემთა დამუშავება	2025 წელი - 2026 წლის II კვარტალი
წინასწარი შედეგების გამოქვეყნება	2025 წლის ივნისი
საბოლოო შედეგების გამოქვეყნება	2026 წლის ივნისი